



საფარი  
SAPARI

ბავშვთა კანსიმონების  
ინსტიტუციური გამოწვევები და  
ბენეფიციართა საჭიროებები



დოკუმენტი მოამზადა "საფარმა", საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საკატორიარქოს ა(ა)იპ ჭავჭავაძის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უკატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა და ა(ა)იპ წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (მართვილის კანსიონი) ყოფილ და მოქმედ აღსაზრდელებთან მუშაობის შედეგად.

## შესავალი

1994 წლის 2 ივლისიდან საქართველოში ძალაშია გაეროს 1989 წლის „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“, რომელსაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, შესასრულებლად სავალდებულოა. კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.“

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის. ამასთან, ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს.

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, და მათი პერსონალის რიცხვისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით“, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს 1994 წლიდან აღებული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მის იურისდიქციას დაქვემდებარებული თითოეული ბავშვისათვის კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლების დაცვა და ამ უფლების დაცვისას უზრუნველყოფილ იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესი გათვალისწინება; უზრუნველყოფილ იქნას თითოეული ბავშვის კეთილდღეობა და ამ მიზნით სახელმწიფომ მუდმივი მონიტორინგი გაუწიოს ბავშვზე მეურვეობის განმახორციელებელ დაწესებულებებს, სამსახურებს, კერძო და იურიდიულ პირებს.

სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომა, რათა ბავშვები დაიცვას „მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ“ (ამავე კონვენციის მუხლი: 19. ნაწილი: 1). ზემოთმოყვანილი მუხლებიდან ნათლად ჩანს: სახელმწიფოს აქვს მკაცრი ვალდებულება, უზრუნველყოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული ბავშვისათვის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია და მათი დაცვა არასათანადო მოპყრობისაგან. უფრო მეტიც, ამავე კონვენციის მე-20 მუხლის მიხედვით: „ბავშვი, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოცვას ან რომელსაც საკუთარი საუკეთესო ინტერესებისათვის არ შეუძლია ასეთ გარემოცვაში დარჩეს, სახელმწიფოს მხრიდან

განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვს. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონების შესაბამისად უზრუნველყოფენ ასეთი ბავშვის მოვლის შეცვლას. ამ დანაწესის მიხედვით კი იმ ბავშვების უფლებების დაცვა, რომლებიც ოჯახის მზრუნველობას არიან მოკლებულნი, სახელმწიფოს განსაკუთრებულ მოვალეობას წარმოადგენს და მას ევალება, უფრო მეტი ღონიძიება მიიღოს და გაატაროს ასეთი ბავშვის ინტერესების დასაცავად.

2001-2021 წლებში, საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად ხორციელდებოდა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სისტემის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც, თავდაპირველად, მოხდა დიდი ზომის ბავშვთა ინსტიტუციების შეფასება, პირობების და აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო შემდგომში მათი უდიდესი ნაწილი დაიხურა. რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფომ დახურა 44 დიდი ზომის ინსტიტუცია და 5500 ბავშვი უზრუნველყოფილ იქნა ზრუნვის ალტერნატიული ფორმით.

ამჟამად სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება მხოლოდ ერთი დიდი ზომის ბავშვთა სახლი, რომელიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელებისთვის. სხვა ყველა ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, უზრუნველყოფილ იქნა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული ზრუნვის ალტერნატიული საშუალებით. რეფორმის განხორციელების ფარგლებში, მიღებულ იქნა შემდეგი კანონები: „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, (N746-II,04.05.2017წ); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „მინდობით აღზრდის მომსახურების მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ (N01-72/ნ, 27.12.2017წ.) საქართველოს მთავრობის 2016 წლის დადგენილება N66 „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები.“

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ზემოთმოყვანილი რეფორმებისა, არ დახურულა რელიგიური დაწესებულებების მმართველობის ქვეშ არსებული პანსიონები და ამ ინსტიტუციაში დარჩენილი ბავშვები არასახარბიელო და უთანასწორო პირობებში აღმოჩნდნენ. ეს ბავშვები ვერ იღებენ სათანადო ზრუნვას და რიგ შემთხვევაში ხდებიან ძალადობის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლები, რაც დასტურდება როგორც სახალხო დამცველის ანგარიშებიდან, ისე - „საფარის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, რომელიც ეყრდნობა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ბენეფიციარების ინტერვიურებს და სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას.

### **პანსიონის ბენეფიციართა საჭიროებები**

2021 წლის აგვისტო-2022 წლის აპრილის საანგარიშო პერიოდში, „საფარმა“ დაიწყო მუშაობა პანსიონის ამჟამინდელ და ყოფილ ბენეფიციარებთან ნინოწმინდისა და მარტვილის სასულიერო პანსიონიდან. ჰოლისტური მიდგომით, ინდივიდუალური შეფასებითა და საჭიროებების გამოკვეთით, 32 ბენეფიციარს მიეწოდა სოციალური, ფსიქოლოგიური, იურიდიული და სამედიცინო სერვისი.

ჩატარებული სამუშაოებისა და ინდივიდუალური შეფასებების საფუძველზე, გამოიკვეთა ბენეფიციართა ძირითადი საჭიროებები:

### **გადატანილ ტრავმულ გამოცდილებებთან გამკლავებაზე მუშაობა;**

ინდივიდუალური შეფასებისას გამოიკვეთა, რომ გადატანილი ტრავმული გამოცდილებები დღემდე აისახება მათი ცხოვრების ხარისხზე. ყოველდღიურად თავს ახსენებთ ფლემშეკები (შემოჭრილი მოგონებები), რაც ხელს უშლით სოციალური ფუნქციონირების ამაღლებაში.

### **სუსტი სოციალური და კოგნიტური უნარები**

მრავალწლიანმა ინსტიტუციურმა ცხოვრებამ, პანსიონში დამკვიდრებულმა აღზრდის მეთოდებმა გავლენა იქონია ბავშვთა სოციალური და კოგნიტური უნარების განვითარებაზე. ბენეფიციარებს მძიმე ტრავმული გამოცდილებისა და არასათანადო ზრუნვის შედეგად, აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები, კომუნიკაციის სირთულეები, მწირი სოციალური და კოგნიტური უნარები, ყურადღების კონცენტრაცია, ემოციების მართვის სირთულეები, უჭირთ ნდობაში შესვლა სხვა ადამიანებთან. არ არიან მომზადებულები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, რაც ართულებს მათი სოციალიზაციის პროცესს. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ დღემდე უჭირს ქალაქში გადაადგილება, ეშინია ხალხის, დაკარგვის, ადვილად ვერ ორიენტირდება და ურჩევნია, სხვებთან ერთად იმომაროს ქუჩაში, რადგან რამდენჯერმე იყო შემთხვევა, რომ ვერ მიაგნო სახლს. ასევე, პედაგოგიური ხელმიშვებულობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ბენეფიციარები არითმეტიკული ანგარიშის საშუალებად იყენებენ თითებს და ა. შ.

### **სამედიცინო საჭიროებები**

ბენეფიციარებს აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები, რისი მოგვარებაც დროულად არ მოხდა. უმეტესი მათგანის თქმით, პანსიონში ყოფნის პერიოდში, არ უნახავთ ექიმი, გარდა შემთხვევისა, როცა მაგალითად, ისეთი გადაუდებელი ჩარევა იყო საჭირო, როგორცაა ოპერაცია, მოტეხილობა და ა. შ.

### **არასათანადო განათლება**

ასევე, პრობლემურ საკითხად რჩება არასათანადო განათლება, რაც აისახება უნარებზე. მაგალითისთვის, ერთ-ერთ ბენეფიციართან მუშაობის შემდეგ, ნეიროფსიქოლოგის დასკვნის მიხედვით, „სავარაუდოა ინტელექტუალური დარღვევა, რომელიც მნიშვნელოვნად დამძიმებულია პედაგოგიური ხელმიშვებულობითა და აღზრდის დროს უგულვებელყოფით. გამოხატულია თავის ტვინის ორგანული დისფუნქცია, რაც ვლინდება ადმასრულებელი უნარების, ყურადღების, მეხსიერებისა და სხვა შემეცნებითი უნარების დეფიციტში“.

არასრულფასოვანი სასკოლო განათლება, პროფესიული განათლების არქონა შემაფერხებელი ფაქტორია ბენეფიციარებისათვის სოციალიზაციის პროცესში. პროექტის ფარგლებში მოხდა მათი ჩართვა ინგლისური ენის, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების, კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელ კურსებში. მათ გადაეცათ შესაბამისი სახელმძღვანელოები, თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნულის გაგრძელება და მათთვის ხელშეწყობა პროფესიის დაუფლებასა და შემდგომი დასაქმების პროცესში.

### **საცხოვრისის პრობლემა**

ვინაიდან, ბენეფიციართა უმეტესობას არ ჰყავს თანადგომის ქსელი, არ აქვს/ან ცუდი ურთიერთობა აქვს ბიოლოგიურ ოჯახებთან, პანსიონის დატოვების შემდეგ, არ აქვთ საცხოვრებელი სახლი, უწევთ ქირით ყოფნა, ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე კი, თანხას დროულად ვერ იხდიან და მუდმივად უწევთ ადგილის შეცვლა.

### **დასაქმების პრობლემა**

ბენეფიციარებმა პანსიონში ყოფნის პერიოდში ვერ მიიღეს სათანადო განათლება, როგორც ზოგადი, ისე პროფესიული, რაც ხელს უშლით სამუშაო ადგილის მოძიებასა და დასაქმებაში.

### **ბიოლოგიურ ოჯახებთან ურთიერთობა**

პანსიონში მოხვედრის შემდეგ, ბიოლოგიურმა ოჯახებმა ბენეფიციართა უმეტესებასთან გაწყვიტეს ურთიერთობა, ან ურთიერთობის შემთხვევაში კავშირი სუსტია, რაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აისახება ბენეფიციართა მდგომარეობაზე.

### **მოუწესრიგებელი დოკუმენტაცია**

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობის გამო, გაძნელებულია ისეთი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა, როგორცაა სოციალური შემწეობა, ქირით დაფინანსება და ა. შ. უმეტეს მათგანს საცხოვრებლად ისევ პანსიონის მისამართი უფიქსირდება.

**მარტვილის სასულიერო პანსიონში არსებულ სკოლაში სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემას. ონლაინ სწავლების პერიოდში, არ მომხდარა მოსწავლეების ტექნიკური უზრუნველყოფა.**

ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ოჯახებისათვის, რომლებსაც სოციალური და ეკონომიკური პრობლემები აქვთ და არ შეუძლიათ ძვირადღირებული სახელმძღვანელოების შეძენა.

## **მოსწავლეების მიმართ ადგილი აქვს დასჯის უხეშ მეთოდებს.**

მარტვილის პანსიონის ბენეფიციარებთან ინტერვიუებისას, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები დასჯის ისეთ უხეშ მეთოდებს მიმართავენ, როგორცაა ყურის აწევა, სახაზავის/ჯოხის დარტყმა, კუთხეში დაყენება და ა. შ.

## **მართმსაჯულების ხელმისაწვდომობა და გამოწვევები**

ჩატარებულმა სამუშაოებმა, დიდი ზომის რელიგიური კონფენსიების დაქვემდებარებაში არსებულ პანსიონის ყოფილ ბენეფიციარებთან, მართმსაჯულების და სამართლებრივი ხელმისაწვდომობის კუთხით, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

ა) ბენეფიციარებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ სამართლებრივი დახმარება ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების კუთხით - ადვოკატის მომსახურების მიღება არის რთული შემდეგი გარემოებების გამო:

1. ბენეფიციარებს არ აქვთ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ. შესაბამისად, ისინი ვერ აიდენტიფიცირებენ მათ დარღვეულ უფლებებს და ვერ საზღვრავენ კონკრეტული სამართლებრივი დახმარების საჭიროებას.

2. ამასთან, პრობლემის იდენტიფიცირების შემდგომ, მათთვის შეუძლებელია შესაბამისი სამართლებრივი დახმარების აღმომჩენი პირის მოძიება და მიმართვა, რადგან არ აქვთ ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარების გამწევი სუბიექტების შესახებ და არც შესაბამისი თანხები გააჩნიათ კერძო -სამართლებრივი მომსახურების მისაღებად.

ბ) საქართველოს საპატრიარქოს, ჯავახეთის ქ. ნინოწმინდის წმიდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის ბენეფიციარებთან ჩატარებული სამუშაოების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი: ამ დროისათვის, შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოში, მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ნინოწმინდის პანსიონის ყოფილი 70 - მდე ბენეფიციარის მიმართ, საიდანაც 10 მათგანის ინტერესებს იცავს და წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარი“. სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

1. სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს სსკ 126<sup>1</sup> მუხლით, როდესაც პანსიონის ყოფილი აღსაზრდელები ჩვენებებში მიუთითებენ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე. „საფარის“ დაცვის ქვეშ მყოფი ბენეფიციარების მიმართ მოთხოვნილ იქნა მუხლის გადაკვალიფიცირება 126<sup>1</sup> მუხლდან - წამების (სსკ144<sup>1</sup> მუხლი) და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის (სსკ 144<sup>3</sup> მუხლი) მუხლებით, თუმცა, ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა;

2. „საფარის“ დაცვის ქვეშ მყოფი არც ერთი ბენეფიციარი ამ დრომდე არ არის დაზარალებულად ცნობილი;

3. საქმეს იძიებს იგივე უწყება, რომელსაც ნინოწმინდის პანსიონში მყოფმა ბენეფიციარებმა მიმართეს ჯერ კიდევ 2018 და 2019 წლებში, თუმცა ამ დრომდე საქმეზე კონკრეტული შედეგები ცნობილი არ არის;

4. პანსიონის ყოფილ ბენეფიციარებს, ვინც უკვე მიმართა პოლიციას, აქვთ უნდობლობა საგამოძიებო უწყების და პროცესის მწარმოებელი პირების მიმართ. მათ არ აქვთ ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ, კონტაქტი გამოძიების მწარმოებელ უწყებასა და პოტენციურ დაზარალებულებს შორის არის მინიმალური.

5. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პანსიონის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში, მისი ყოველი ბენეფიციარი შეიძლება, გამხდარიყო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, გამოკითხულნი არიან მხოლოდ ის ბენეფიციარები, რომლებმაც სურვილი თავად გამოთქვეს, მიემართათ პოლიციისთვის. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ გამოკითხულა პანსიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და იქ დასაქმებული სხვა პირები.

6. მოწმის სახით გამოკითხული პანსიონის ყოფილი ბენეფიციარების ნაწილს არ ჩატარებია (დაზიანების კვალის ან სამედიცინო ჩანაწერის არსებობის) სასამართლო-სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზები.

## **რეკომენდაციები**

*საქართველოს გენერალურ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ:*

- დაზუსტდეს დანაშაულის კვალიფიკაცია და გამოძიება პანსიონში ბავშვების მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე წარმართოს სსკ-ის 144<sup>ბ</sup> და 144<sup>გ</sup> მუხლებით;
- ნინოწმინდის პანსიონში ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეები არ გამოიძიოს ახალციხის პოლიციის დეპარტამენტმა და გამოსაძიებლად გადაეცეს შსს-ს სხვა სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულს. პარალელურად, შეიცვალოს ზედამხედველი პროკურორი;
- ინტენსიურად ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედებები საქმეზე: გამოძიების ფარგლებში გამოიკითხონ პანსიონის ხელმძღვანელი პირები (საერო და სასულიერო); პანსიონის ფუნქციონირების სრულ პერიოდში მისი ყველა აღსაზრდელი, თანამშრომელი და ხელმძღვანელი; ამოღებულ იქნას წერილობითი ჩანაწერები, პანსიონის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში;
- უზრუნველყოფილ იქნას პანსიონის ყოფილ და ახლანდელ აღსაზრდელებთან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა;
- დაინიშნოს პანსიონის ყოფილი და მოქმედი აღსაზრდელების სასამართლო-სამედიცინო (დაზიანების კვალის ან სამედიცინო ჩანაწერის არსებობის) და ფსიქოლოგიური ექსპერტიზები.

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიმართ:*



- დენსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და გეგმის შემუშავება გონივრულ ვადებში;
- ნინოწმინდის და სხვა რელიგიური კონფესიების ქვეშ დაქვემდებარებული პანსიონებში ამჟამად მყოფი ბავშვების დროული შეფასება, ბიოლოგიურ ოჯახებში ან ალტერნატიული ზრუნვის სხვა ფორმებში გადაყვანის დაჩქარება;
- ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანილი ბენეფიციარების აღმზრდელების შეფასება/გადამზადება, რათა თავიდან იქნას აცილებული ბენეფიციართა რეტრავმატიზაცია;
- პანსიონის ყოფილი ბენეფიციარების გაძლიერება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისების დროული მიწოდება;
- სრულყოფილი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია/თერაპია გადატანილ მატრავმირებელ მოვლენებთან გამკლავებისთვის;
- ეფექტიან და ნდობაზე დაფუძნებული მუშაობისათვის შესაბამისი პროფესიონალების ჩართვა თითოეულ შემთხვევაში;
- ბავშვთა მიმართ, სავარაუდო ძალადობის ფაქტზე შესულ თითოეულ განცხადებაზე და შეტყობინებაზე დროული და შესაბამისი რეაგირების დროულობა და მონიტორინგი;
- პანსიონის ამჟამინდელი და ყოფილი ბენეფიციარების სამედიცინო საჭიროებების მოკვლევა/შესაბამისი სერვისის მიწოდება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად პანსიონის ყოფილი ბენეფიციარებისათვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

### **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს**

- რელიგიურ პანსიონებში არსებულ სკოლებში სიტუაციის მოკვლევა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- მოსწავლეთათვის შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოების გადაცემის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესში სრულყოფილი მონაწილეობისათვის;
- პანსიონის ბენეფიციარებისათვის განათლების მიღების ხელშეწყობა, პროფესიული კურსების შექმნა და შემდგომ დასაქმებაში ხელშეწყობა.